შპს „მუხა.გ“

ს/კ 216434277. რუსთავი. რუსთაველის 8ა/6

მომიჯნავე შენობების მდგრადობის დასკვნა

(შპს „EM SA” ქ. თბილისი. გოძიაშვილის 75. ს/კ 01.10.10.018.004)

ქ. რუსთავი. 2022 წ

შინაარსი

შპს „EM SA" კუთვნილ ს/კ 01.10.10.018.004 ნაკვეთზე (ქ. თბილისი. გოძიაშვილის 75) საპროექტო მშრალი მასალების საწყობის (ოფისით) მიმდებარედ არსებულია:

1. 01/2 - საწყობი. ფოტო 1.
   შენობა ზომებით გეგმაში 12.5*36.42 მ, სიმაღლე 10 მ, - ორსართულიანი, ორმალიანი მონოლითური რკბ-ის კარკასია, გარე თვითმზიდი აგურის (სისქე 400 მმ) კედლებით.
   სართულშუა გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკბ-ის ღრუტანიანი ფილები / „სიმკარებით", დახურვა კი ანაკრები წიბოვანი ფილებით. ფილები დაწყობილია შენობის სიგრძეზე.
   შენობის მზიდი ელემენტები და კვანძები, ვიზუალური დათვალიერებით კარგ მდგომარეობაშია, დეფორმაციები არ აღინიშნება.
2. 08/2 - საწყობი. ფოტო 2.
   შენობა ზომებით გეგმაში 13.6*30.8 მ, სიმაღლე 10 მ, - ორსართულიანი, ორმალიანი მონოლითური რკბ-ის კარკასია, გარე თვითმზიდი ბლოკის (სისქე 400 მმ) კედლებით.
   სართულშუა გადახურვა შესრულებულია ანაკრები რკბ-ის ღრუტანიანი ფილები / „სიმკარებით", დახურვა კი ანაკრები წიბოვანი ფილებით. ფილები დაწყობილია შენობის სიგრძეზე.
   შენობის მზიდი ელემენტები და კვანძები, ვიზუალური დათვალიერებით კარგ მდგომარეობაშია, დეფორმაციები არ აღინიშნება.

01/2 და 08/2 შენობები, აშენებულია სხვადასხვა დროს. ორივე შენობას საპროექტო საწყობის საძირკველთან გამოყოფს დამოუკიდებლად არსებული ბეტონის საყრდენი კედელი, სისქე 500..600 მმ, სიმაღლე 3.0 მ.

საპროექტო ოფისის შენობა არსებული შენობიდან მოცილებული იქნება 2.4 მ-ით.

3. 05/1 - საწყობი. ფოტო 3.
   ფარდული ზომებით გეგმაში 5.0*12 + 10.0*10.0 მ, ერთსართულიანი, სიმაღლე 3.0 / 4.0 მ, არსებულ ბეტონის (იგივე - საყრდენ) კედელზე მიშენებული, ლითონის მსუბუქი, კარკასია, შემოზღუდული პროფფურცლით.

   საპროექტო საწყობის (ეზოს ღია გადახურვა / ფარდული) წერტილოვანი საძირკვლები უნდა განთავსდეს ზედაპირიდან 0.8..1.0 მ ფარგლებში. გრუნტზე მოქმედი R მაქს = 0,3..0,5 კგძ/სმ2 ვერტ. დატვირთვის სიმცირის გამო, მისი ზემოქმედება არსებულ სარდაფის (საყრდენ) თვითმზიდ კედელზე უმნიშვნელოა.
   საპროექტო შენობის ლით. სვეტები არსებული კედლიდან დაცილებული იქნება 0.6 მ / 5 ცალი და 2,1 მ-ით დანარჩენი, სახურავი კი აწეული იქნება 0.8...0.9 მ-ით.
4. 02/1 - საწყობი. ფოტო 4.
   შენობა ზომებით გეგმაში 12.45*60.52 მ, სიმაღლე 6.6 მ, - ერთსართულიანი, ორმალიანი მონოლითური რკბ-ის კარკასია, გარე თვითმზიდი აგურის (სისქე 400 მმ) კედლებით.

დახურვა შესრულებულია ანაკრები ნიბოვანი ფილებით. ფილები დაწყობილია შენობის სიგრძეზე.

შენობის მზიდი ელემენტები და კვანძები, ვიზუალური დათვალიერებით კარგ მდგომარეობაშია, დეფორმაციები არ აღინიშნება.

საპროექტო საწყობის (ეზოს ღია გადახურვა / ფარდული) წერტილოვანი საძირკვლები უნდა განთავსდეს საწყობის შენობის არსებული ლენტური / ბეტონის საძირკვლის დონეზე, ზედაპირიდან 0.8..1.0 მ ფარგლებში.

საპროექტო შენობის ლით. სვეტები არსებული კედლიდან დაცილებული იქნება 0.6 მ-ით, სახურავი კი აწეული იქნება 0.8...0.9 მ-ით.

დასკვნა

ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკური მონაცემების და ანგარიშის საფუძველზე, არსებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია და საპროექტო საწყობის (ფარდულის) / ოფისით მოწყობა შესაძლებელია.

შპს „ მუხა. გ“ დირექტორი: გ. გოგოლაძე
კონსტრუქტორი



02.03. 2022 წ


1.
2.
19
20




4
11
11


1
3